ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომის ოქმი №43

22 ნოემბერი, 2024 წელი
14:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

კახაბერ ლაბუჩიძე, თინათინ ნიბლოშვილი, ზურაბ ჩიკვილაძე, ნათია მოდებაძე, გურამ ოქროპირიძე, სოფიო ჯაფარიძე, ბარბარა ჯიმელი სულაშვილი.

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძე.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის № 33-89 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ **(წერილის №12-032432550-03; 20.11.2024)** განხილვა.

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ ერთხმად მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარე, კახაბერ ლაბუჩიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა **დღის წესრიგით განსაზღვრული პირველი საკითხი.**

კახაბერ ლაბუჩიძემ სიტყვა გადასცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსს გაიოზ თალაკვაძეს.

გაიოზ თალაკვაძის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსულობების გათვალისწინებით, რომლის თანახმად შემოსავლების ნაწილში იზრდება ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი - 2 500,0 ათასი ლარით, შესაბამისად მცირდება მიწაზე ქონების გადასახადი, არაფინანსური აქტივების კლების ნაწილში იზრდება საცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან მისაღები შემოსავლები - 19 691,6 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო ფინანსური აქტივების კლების ნაწილში მცირდება სესხებიდან მისაღები შემოსავლები - 100,0 ათასი ლარით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 23 აგვისტოს N24.1463.1654 განკარგულებით ჩამოიწერა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული გლდანის, ნაძალადევის, დიდუბის, ისნის და სამგორის რაიონებში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებზე ამორტიზირებული ლიფტების სარეაბილიტაციოდ გაცემული სესხები).

შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა ჯამურად იზრდება 19 591,6 ათასი ლარით და შეადგენს 2 077 927,2 ათას ლარს.

განათლებისა და კულტურის მიმართულებით არსებული საბიუჯეტო პროგრამებისა და ქვეპროგრამების დაფინანსებაში წარმოდგენილ ცვლილებებთან დაკავშირებით სხდომაზე განიმარტა, რომ აღნიშნული სფეროების ხელშემწყობი პროგრამებისა და ქვეპროგრამების დასაფინანსებლად ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე:

იზრდება:

- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) - 2 200,0 ათასი ლარი;
- სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა (კოდი 07 05 03) - 300,0 ათასი ლარი;
- ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხელშეწყობა (კოდი 07 06 01) - 50,0 ათასი ლარი;
- ს. ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი (კოდი 08 01 01) - 45,0 ათასი ლარი;
- პანტომიმის სახელმწიფო თეატრი (კოდი 08 01 02) - 42,0 ათასი ლარი;
- თბილისის საშემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი (კოდი 08 01 03) - 24,4 ათასი ლარი;
- სანდრო მრევლიშვილის სახელობის თბილისის პროფესიული მუნიციპალური თეატრი (კოდი 08 01 05) - 23,2 ათასი ლარი;
- სამეფო უბნის თეატრი (კოდი 08 01 08) - 21,7 ათასი ლარი;
- სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა (კოდი 08 02) პროგრამის ასიგნებები - 610,0 ათასი ლარი;
- საკონცერტო ორკესტრი "ბიგ-ბენდი" (კოდი 08 04 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 35,6 ათასი ლარი;
- კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (კოდი 08 05) პროგრამის ასიგნებები - 438,1 ათასი ლარი;
- საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა (კოდი 08 10) პროგრამის ასიგნებები - 14,0 ათასი ლარი;
- თბილისის თანამედროვე ბალეტის დასი (კოდი 08 12) - 21,5 ათასი ლარი.

მცირდება:

- შემოქმედებითი თბილისი (კოდი 08 09) პროგრამის ასიგნებები – 150,0 ათასი ლარი.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა და მოსაზრებები არ ყოფილა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის დეტალური ანალიზის შემდეგ, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის №33-89 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის თაობაზე.

მომხრე	5
წინააღმდეგი	0
თავი შეიკავა	2 (სოფიო ჯაფარიძე, ბარბარა ჯიმელი სულაშვილი)

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად, სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაადგინა: კომისია დადებითად აფასებს საკითხს, არ აქვს შენიშვნები და წინადადებები მის მიმართ და მხარს უჭერს წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის №33-89 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე